



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გარემოს დაცვის ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 11-12 აპრილი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს დაცვის ტექნოლოგიები Environmental protection technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მაცნიერების მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული ავტორიზებული # 61, 07.09.2018 აკრედიტებული # 116, 19.04.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ინაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბელა ჯაფოშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი გავარდაშვილი, სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“ (წინა დასახელება „გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია“) აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა 2012 წლიდან, ხოლო 2018 წლის 07 სექტემბრიდან იგი ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში.

აკრედიტაციის შემდგომ პროგრამამ განიცადა ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამაში ეტაპობრივად ხდებოდა შინაარსის, შეფასების სისტემის, ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის, სასწავლო ლიტერატურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ა.შ. გაუმჯობესება-დახვეწა. აქვე უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის როგორც ადმინისტრაციის, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებლების აქტიური მხარდაჭერა და ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიცვალა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამა ანიჭებდა „გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მაგისტრის“ კვალიფიკაციას, ხოლო 2020 წლიდან პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხია „მეცნიერების მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში“ (კოდი 0712).

პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი);

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი, ერთი კრედიტი 25 საათს მოიცავს.

- ძირითადი სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 70 კრედიტი,
- კვლევითი პროექტი და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - 34 კრედიტი,
- არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 16 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (№325335, 29/03/2022) საფუძველზე, მიმდინარე წლის 11-12 აპრილს.

აკრედიტაციის ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს მათთვის მიწოდებული ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მართებულობის შესახებ და შეთანხმდა იმაზე, რომ აუცილებელია ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან) დაზუსტდეს რა მიზეზით და რის საფუძველზე მიღებულ იქნა ამ კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილება. ამასთან ერთად წამოიჭრა საკითხები პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები). ვიზიტის მსვლელობისას, ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებთან (დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსადამთავრებულებთან ინტერვიუები განხორციელდა დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით), ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები და შერჩევითობის პრინციპით, შეამოწმა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში. აგრეთვე განხორციელდა სასწავლო ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯმა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის შედეგები, რის შემდეგ ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი მიგნებები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის, ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად (ექსპერტების მხრიდან მოხსნილი იქნა რეკომენდაციები ქვესტანდარტი 5.3, ხოლო ქვესტანდარტი 2.3-ის რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევებში), პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
 - სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (2.1, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2 და კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
 - სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 3.1. და 3.2 შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან)
 - სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
 - სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (5.2. და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).
- **რეკომენდაციები**
 - მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურა ჩასწორდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ -ის (2019 წლის 10 აპრილი) დანართი №2 -ის (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) შესაბამისად.
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განვითარების პროცესში უზრუნველყოს პროგრამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
 - **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად და შესაბამისი სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნეს არა პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების ის კონკრეტული კომპონენტი/დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.
 - მიზანშეწონილია მოძველებული ლიტერატურის განახლება;
 - მიზანშეწონილია, დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს, თუ რომელი სპეცილობის ბაკალავრების მიღებაა სასურველი აღნიშნულ პროგრამაზე;
 - სასურველია, პროგრამის სპეციალობის ძირითადი საგნების ნუსხას დაემატოს საინჟინრო კომპეტენციების განმავითარებელი კურსი, რომელშიც ასახული იქნება ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონიძირებები.
 - სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები;
 - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტი გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა:

- ✓ გარემოსდაცვითი ტექნოლოგიის სხვადასხვა სფეროში (ჰაერის დაცვა, წყლის მენეჯმენტი, ნარჩენების მართვა, შრომის უსაფრთხოება და სხვა),
- ✓ გარემოს დაცვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების შესახებ.

და შეძლებენ:

- ✓ კომპლექსური პრობლემების გადაჭრასა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას,
- ✓ გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავებას,
- ✓ საკუთარი პროფესიული ცოდნის გაზიარებას და სხვების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება დაეფუძნა საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზსა და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებებს. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დასადგენად ჩატარებულია შესაბამისობის ანალიზი და შემუშავებულია შესაბამისობის რუქა. აგრეთვე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია პროგრამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით, პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი, და ნათლად ასახავს, თუ რა კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და როგორია მათი შემდგომი დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების პერსპექტივები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და გაზომვადია და ნათლად ასახავს, თუ რას ემსახურება პროგრამა. პროგრამა, სწავლის შედეგების გააზრების საფუძველზე, ცალსახად უწყობს ხელს კონკურენტუნარიანი კადრის გაზრდას, რომელიც დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით იქნება აღჭურვილი.

ანალოგი პროგრამების სახით გაანალიზებულია უცხოური პროგრამები:

- ✓ გენტის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), აახენის უნივერსიტეტი (გერმანია). სამაგისტრო პროგრამა მეცნიერების საერთაშორისო მაგისტრი გარემოს ტექნოლოგიასა და ინჟინერიაში;
- ✓ კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ლიეტუვა), გარემოს დაცვის ინჟინერია;
- ✓ ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ესტონეთი), გარემოსდაცვითი ინჟინერია და მენეჯენტი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასება ხდება ლოგიკურად, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შესაბამისი სასწავლო კომპონენტების მიხედვით და სწავლის შედეგების სამი გრადაციის (შესავალი, განმავითარებელი და მაფორმირებელი) გათვალისწინებით.

პროგრამის და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები (მაგ., დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები, სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლა და ა.შ.). პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმად გამოიყენება პროგრამის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათთან მიღწეული შედეგების დადარება.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გასაზომად და შესაბამის სამიზნე ნიშნულად გამოყენებულია სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის სახელმძღვანელოს თანახმად, „... სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც. სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს...“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად და შესაბამისი სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნეს არა პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების ის კონკრეტული კომპონენტი/დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში სხვადასხვა ფორმით (გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, რეკომენდაციების შეთავაზება, პროგრამის განხილვა-შეფასება და ა.შ.) იყვნენ ჩართულნი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ასევე, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე და ინტერვიუდან დადგინდა, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად და შესაბამისი სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნეს არა პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების ის კონკრეტული კომპონენტი/დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს

აღნიშნულ სწავლის შედეგს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე ჩაირიცხვის მოთხოვნებია:

- ✓ გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;
- ✓ ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე (დასტურდება საბაკალავრო დიპლომის დანართით - ინგლისური ენის ათვისებით, გამოცდის ჩაბარებით აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენით).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია.

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ).

მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია კონკურსანტის წერილობითი განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ.

უნივერსიტეტის შიგა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი ირიცხება უნივერსიტეტში, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად გამოცდების ჩატარების ფორმა, მიმდინარეობა, კონკურსანტთა ნაშრომების გასწორების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კონკურსანტთა რანჟირების წესი მტკიცდება ყოველწლიურად რექტორის სამართლებრივი ინდივიდუალური აქტით.

შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის საკიხების ნუსხა დგინდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო შემდომ ფორმდება და მტკიცდება რექტორის სამართლებრივი ინდივიდუალური აქტით. მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო საკონკურსო გამოცდა ტარდება წერიითი ფორმით. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობაში, არ არის განსაზღვრული წინარე განათლების კვალიფიკაცია. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული განსხვავებული კვალიფიკაციისა, მათ არც მისაღებ გამოცდებზე და არც შემდგომ სწავლის პროცესში სირთულე არ შეხვედრიათ.

თუმცა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის მე-7 დონის მისაღწევად (რაც გულისხმობს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნის მიღებას და მის კრიტიკულ გააზრებას და მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს), სასურველია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულ იქნას შესაბამისი ან მომიჯნავე (მაგ. საინჟინრო, საბუნებისმეტყველო) კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრების მიღება, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საბაზისო ცოდნა და მზად არიან ღრმა სისტემური ცოდნის მისაღებად

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს, თუ რომელი სპეცილობის ბაკალავრების მიღებაა სასურველი აღნიშნულ პროგრამაზე;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS). პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. ერთი კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი).

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სავალდებულო (104 კრედიტი) და არჩევით (16 კრედიტი) კომპონენტებს. თავის მხრივ სავალდებულო კურსები მოიცავს:

- ✓ სპეციალობის ძირითად საგნებს - 62 კრედიტი,
- ✓ ერთ კონცენტრაციას: კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების მენეჯმენტი (კლიმატის მენეჯმენტი) – **12 კრედიტი** (რომლის ფარგლებში სტუდენტ ეძლევა საშუალება აირჩიოს სასწავლო კურსის სწავლების ენა: ქართული ან ინგლისური);
- ✓ სამაგისტრო ნაშრომი = 30 კრედიტი;

არჩევითი კურსები მოიცავს ერთ კონცენტრაციას: ტექნიკური პროფესიული განათლება (**12 კრედიტი**) და 8 არჩევით სასწავლო კურსს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ -ის (2019 წლის 10 აპრილი) დანართი №2 -ის (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) შესაბამისად „უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას **კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით**. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.“.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ორი **12 კრედიტიანი** სასწავლო ბლოკი („კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების მენეჯმენტი (კლიმატის მენეჯმენტი)“ და „ტექნიკური პროფესიული განათლება“) რომლებიც არ არიან თანხვედრაში კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან კონცენტრაციის შესახებ. თანდართულ დოკუმენტებში მოცემულია აღნიშნული „კონცენტრაციების კურიკულუმები“, რომლებშიც ასახულია სწავლის შედეგები.

აგრეთვე, კონცენტრაცია წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით, ხოლო არჩევით კურსებში მოცემული კონცენტრაცია: „ტექნიკური პროფესიული განათლება“, არ იმყოფება კავშირში ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსთან.

როგორც კონცენტრაციის კურიკულუმიდან ირკვევა, აღნიშნული კონცენტრაციის მიზანია: „კონცენტრაცია საინჟინრო მიმართულების მაგისტრანტებს აძლევს შესაძლებლობას შემდგომი კარიერის ეტაპზე ჰქონდეთ ის ცოდნა, უნარები და მოტივაცია, რაც დაეხმარებათ მათ პროფესიული განათლების სფეროში დასაქმებაში. ეს გააძლიერებს პროფესიული განათლების სექტორს, ხოლო სპეციალისტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ პროფესიული განათლების წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრას.

თუმცა, ინტერვიუს დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კონცენტრაცია: „ტექნიკური პროფესიული განათლება“ დამსაქმებლების ინიციატივით იყო გათვალისწინებული პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ძირითადად გათვალისწინებულია ჰაერისა და წყლის დაბინძურების პრობლემების ამსახველი სასაწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი თანამედროვე ლაბორატორიებით, თუმცა, ნაკლები ყურადღებაა დათმობილი ნიადაგების დაცვის პრობლემას. სასურველი იქნებოდა პროგრამა გამდიდრებულიყო ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონისძიებების ამსახველი სასაწავლო კურსით.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.atsu.edu.ge. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ (2019 წლის 10 აპრილი);
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურა ჩასწორდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ -ის (2019 წლის 10 აპრილი) დანართი №2 -ის (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი) შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სპეციალობის ძირითადი საგნების ნუსხას დაემატოს საინჟინრო კომპეტენციების განმავითარებელი კურსი, რომელშიც ასახული იქნება ნიადაგების დაცვის საინჟინრო ღონისძიებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის დონეს. პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის სახით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კურსის სირთულესა და მისაღწევ შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი ორი კონცენტრაციის კრედიტების რაოდენობა (12-12 კრედიტი) არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/წ -ის (2019 წლის 10 აპრილი) დანართი №2-ს, ამასთან კონცენტრაცია „ტექნიკური პროფესიული განათლება“ არ წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას. (იხ. რეკომენდაცია 2.2)

წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლისას, დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური ხასიათისა და მარტივად გამოსწორებადი ხარვეზი. მაგალითად, სილაბუსებში „პროექტის დიზაინი და მენეჯმენტი“ და „ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია“ -

მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის სათაურია „გარემოს დაცვის ინჟინერია და მენეჯმენტი“ და არა „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“. სილაბუსში „სამაგისტრო ნაშრომი“ – „გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია“.

ასევე, აღსანიშნავია, რომ რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია, და სასურველია მათი განახლება. მაგ.:

1. ლ. თოდუა. ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტრატეგია და კანონმდებლობა // საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №99, 2006.
1. ჯაფარიძე ზ., ჯაფარიძე გ., გომელაური თ. პროექტის მენეჯმენტი. SPAMGO. თბ. 2007
2. Air pollution control technology handbook / Karl B. Schnelle, Jr. and Charles A. Brown. 2000
3. ვ. კვანტიძე. ჩამდინარე წყლები და მისი გაწმენდის მეთოდები. სალექციო კურსი. ქუთაისი, აწსუ, 78. 2005.
4. ნაგავსაყრელების ინსპექტირება საქართველოში. გარემოს დაცვის სამინისტრო. 2012
5. ეროვნული მოხსენება საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ. 2010-2013 წელი.

ექსპერტების მიერ არჩევითობით მოთხოვნილი ლიტერატურა მარტივად ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- ვიზიტის დროს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოძველებული ლიტერატურის განახლება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას პრაქტიკული ქეისების შესწავლისა და განხილვის გზით. ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

აღსანიშნავია სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი შეფასება და ზედამხედველობა“ (5 კრედიტი), რომელშიც პრაქტიკული მეცადინეობისთვის და პრაქტიკისთვის გამოყოფილია 40 საათი. პრაქტიკაზე ჩატარებული სამუშაოს შეფასება ხდება მე-16 სასწავლო კვირას შემდეგი კრიტერიუმებით:

პრაქტიკის ანგარიში (4 ქულა) მოცავს ყოველდღიური სამუშაოს აღწერას წერილობითი სახით, მათ შორის მიზანი, შედეგები, დასკვნები, პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, გამოყენებული ლიტერატურა და მასალები. ასევე პრაქტიკის ობიექტის აღწერას, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე.

პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება (5 ქულა).

პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტს აფასებს სამუშაოს ჩატარების, აქტიურობის, კომუნიკაბელურობის, დავალების შესრულების მიხედვით.

- კომუნიკაცია და გუნდური მუშაობის უნარი - 1 ქულა
- აქტიურობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი - 2 ქულა
- ორგანიზებულობა, თანმიმდევრულობა და პუნქტუალობა - 1 ქულა

პრაქტიკის კომპონენტი უზრუნველყოფს მაგისტრანტების პროფესიული უნარების ჩამოყალიბებას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

პროგრამაში გათვალისწინებულია საგანი „კვლევითი პროექტი“, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი მუშაობის თავისებურებების შესახებ ცოდნის მიწოდებას, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის კომპეტენციების განვითარებასა და სამეცნიერო პრობლემის განსაზღვრას.

პროგრამის დამამთავრებელ წელს სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს. ეს არის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (სავალდებულო) კომპონენტი, რომელიც საჭირო კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ სილაბუსის ბოლოს, დანართის სახით მოცემულია ამონარიდი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესიდან“, სადაც განმარტებულია ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის წესი, მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომების მიმართ, რეგენზირების პროცედურა, სამაგისტრო

ნაშრომი წინასწარი განხილვისა და პლაგიატზე გატარების წესი და ა.შ.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილ იყო სამაგისტრო ნაშრომები. უნდა აღინიშნოს, რომ თემატიკა, რომელიც დამუშავებული იქნა მაგისტრანტების მიერ არის აქტუალური და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ნაშრომები გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა. ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), 100 ქულიანი სისტემით.

სტუდენტებს გააჩნიათ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, საქალაქო, ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში. მაგალითისთვის:

- 2015 წელს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ეკოლოგიის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის 2 სტუდენტმა.
- 2016 წელის შვედეთის ლინეუსის უნივერსიტეტის პროფ. ვილიამ ჰოლანდის ლექციას “ნული ნარჩენები და ციკლური ეკონომიკა“ დაესწრო პროგრამის 6 სტუდენტი.
- 2017 წელს პროგრამის 2 სტუდენტი წარგზავნილ იქნა საერთაშორისო სემინარზე “ცირკულარული ეკონომიკა“, რომელიც ჩატარდა შვედეთის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ცოდნის მიმოცვლა ინტერ-ბალტიის პარტნიორობის სფეროში მომავალი რეგიონალური ციკლური ეკონომიკის თანამშრომლობისათვის - PECEC“ ფარგლებში ლატვიასა და ესტონეთში.

დაინტერესებული სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და თავიანთი მუშაობის შედეგებს წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები.

სწავლების პროცესში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლების ფორმები - ლექცია, ლაბორატორიული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე ისეთი აქტიური მეთოდები როგორცაა: ვერბალური მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრეზენტაცია, კვლევითი პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

სწავლების მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის (სილაბუსის ავტორის) მიერ, შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრანსფერული კომპეტენციების) მიღწევას როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამის კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

<p>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა (დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E)-საკმარისი - შეფა-სების 51-60 ქულა; უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი). შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას; 3) შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური და დასკვნითი ფორმისთვის დადგენილია შეფასების ხვედრითი წილი</p>

(მაქსიმალური შესაძლო ქულა) და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ხვედრითი წილი). ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად 100 ქულიანი სისტემით. შეფასების წესი და მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს წინასწარ აცნობენ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული შეფასების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, აღნიშნულ საკითხზე დამატებით ინფორმაციას სტუდენტები ღებულობენ სილაბუსების მეშვეობით.

უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს ნაშრომის კიდევ ერთხელ გასწორება/შეფასების გადახედვა, რაც დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან იღებენ უკუკავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- აპელაციის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველკურსელებთან მართავს მისაღებ საორიენტაციო ღონისძიებებს, სადაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობებს და აწვდიან ინფორმაციას სწავლის პროცესების შესახებ. უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს აქვს საშუალება ფაკულტეტის და უნივერსიტეტთან არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიიღოს საჭირო ინფორმაციები,

კონსულტაციები და დახმარებები როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისაგან. აწსუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, დატვირთვა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს აწსუში-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რისი საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაჯამონ და შეაფასონ განვლილი სემესტრი, საგნები, ლექტორები და სწავლის მეთოდოლოგია, გამოთქვან საკუთარი სურვილები რაიმე ასპექტის გაუმჯობესების შესახებ. თუმცა სტუდენტებს ნაკლებად უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაციები.

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს გაცვლითი პროგრამები, რაც საშუალებას აძლევს გარემოს დაცვის ტექნოლოგიების სტუდენტებს მიიღონ ევროპული გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუს ვებ-გვერდი www.atsu.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ
- პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევს დამამთავრებელი კურსის დასაწყისში. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თემა ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. შემდეგ საბჭოს სხდომაზე მტკიცდება თემის სათაური, ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი. პროგრამა უზრუნველყოფილია საკმარისი პოტენციური კვალიფიციური ხელმძღვანელების რაოდენობით (10 ხელმძღვანელი).

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს აწესებს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სტუდენტებს ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო მუშაობას, და მათ მიერ გამოქვეყნებული შრომები, ადილობრივ თუ უცხოურ გამოცემებში, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის თემატიკას.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტს აქვს მუდმივი კონტაქტი ხელმძღვანელთან, მისი უშუალო მითითებებით და ზედამხედველობით ასრულებს კვლევებსა და დავალებებს და ეტაპობრივად წარმოადგენს კვლევის შედეგებს, დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მაგისტრანტებისა ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- წინა წლების სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერება;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „გარემოს დაცვის ტექნოლოგიები“ წარმმართველი დარგობრივი დეპარტამენტი აწესებს ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 5 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 4 მოწვეული სპეციალისტი. სილაბუსების ავტორები არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებლების უმეტესობას აქვს დოქტორის ხარისხი და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რაცას ადასტურებს მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში და კონფერენციებში. უნივერსიტეტის მხარდაჭერით პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები არა ერთხელ იმყოფებოდნენ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და კოლეგებთან აზრთა გაცვლის მიზნით. უნდა აღინიშნოს 2018 წელს შვედეთის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები „ცოდნის მიმოცვლა ინტერ-ბალტიის პარტნიორობის სფეროში მომავალი რეგიონალური ციკლური ეკონომიკის თანამშრომლობისათვის - PECEC“ და „ბალტიის ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტის ქსელის გაძლიერება ლანდშაფტების მდგრადობასა და ნარჩენების მართვაში-LASUWAMA“, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები.

გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეწყობით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დარგის სიღრმისეული ცოდნა. ასევე, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, ადამიანური რესურსის განსაზღვრაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობენ არა მხოლოდ დაწესებულების შესაბამის რგოლებთან, არამედ პოტენციურ დამსაქმებლებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსების მიხედვით;
- პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური ინფორმაცია;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ერთი სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. შესრულებული სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოს ხარისხზე, სამეცნიერო-დარგობრივი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება როგორც წლიური დატვირთვების შესრულების (დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი) და კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით, ისე სტუდენტთა გამოკითხვების გზით.</p>

დაწესებულებაში ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევებიც. პერსონალის სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შეფასების შედეგების მიხედვით ხდება პერსონალის წახალისება. პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. ფაკულტეტის/დაწესებულების ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულია სხვადასხვა სახის ვორქშოფები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების შეფასების შედეგები ასახულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში. მომზადებულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შედეგების ანალიზიც. წარმოდგენილია დეპარტამენტების მიერ სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების შესრულების ფორმები და პერსონალზე ფინანსური წახალისების გაცემასთან დაკავშირებით დეპარტამენტის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ვორქშოფების ჩამონათვალი (2018-2020);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების შეფასების შედეგები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შედეგები;
- დეპარტამენტის მიერ სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების შესრულება (ფორმა 12) 2020-2021 სასწავლო წელი;
- ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი ჯილდოს გაცემასთან დაკავშირებით;
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მადალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ“ (დადგენილება №41(20/21), 15.07.2021);
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილის აღმწერი დოკუმენტი;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილის აღმწერი დოკუმენტი;
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხუს-ის ანგარიშები;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პერსონალის პირადი საქმეები (CV, პუბლიკაციები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები);

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მატერიური-ტექნიკური ბაზა (აუდიტორიები, სასწავლო ინვენტარი, ლაბორატორიული ხელსაწყოები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და სხვ.) რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიები უზრუნველყოფილია ისეთი სპეციფიკური ხელსაწყოებით, როგორებიცაა: რადონის განმსაზღვრელი ხელსაწყო SIRAD, ნიტრატების განსაზღვრელი ხელსაწყო, ვოლტ-ამპერმეტრული ანალიზატორი, ლუქსმეტრი, ელექტრომაგნიტური ველის საზომი ხელსაწყო, ხმაურის დონის განმსაზღვრელი, ანემომეტრი, ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელი UNI-T UT338C და სხვ.</p> <p>უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკა, ასევე, უზრუნველყოფილია ელექტრონული სამეცნიერო ლიტერატურით.</p>

აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს ლაბორატორიის ხელსაწყოების განახლებაზე და თანამედროვე აპარატურის შექმნაზე. უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტის სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სერვისები - <https://library.atsu.edu/ge/>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები. ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების (საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტის მოცულობა წლიდან წლამდე მზარდია. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მტკიცდება როგორც საიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტთა სწავლის გადასახადით მისაღები შემოსავლის დაგეგმვა ხორციელდება მომდენო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების გათვალისწინებით. პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი გათვლილია 14 სტუდენტის მიღების შემთხვევაში., თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვერ ხდებოდა გამოყოფილი ადგილების შევსება (ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიღებულია შესაბამისად 2017წ.-9, 2018წ.-5, 2019წ.-3, 2020წ.-6, 2021წ.-8 სტუდენტი). გამოყოფილ ადგილებზე ნაკლები სტუდენტის მიღების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ხორციელდება მისი საკმარისად დაფინანსება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში და პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროგრამის შემოსავლები წარმოადგენს ისეთი აქტივობების დაფინანსების წყაროს, რომელიც მიიჩნევა არაპირდაპირ ხარჯებად და რომელიც ისედაც გათვალისწინებულია დაწესებულების ცენტრალურ ბიუჯეტში. კერძოდ, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური ხარჯები, სტიპენდია და გადასახადები, ინფრასტრუქტურული ხარჯები. პროგრამაზე აუცილებელ მინიმუმზე ნაკლები ოდენობის სტუდენტთა მიღების შემთხვევაში, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება არაპირდაპირი ხარჯების მოცულობა. აღნიშნულის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები - გარემოს დაცვის ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამებისათვის (2021 წ.);
- პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი ერთი აკადემიური ჯგუფის მიხედვით;
- ინტერვიუ დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>2012 წელს აკრედიტაციის მოპოვებიდან 2021 წელს ხელახლა აკრედიტაციაზე</p>

წარდგენამდე პროგრამა სხვადასხვა ეტაპზე განიცდიდა ცვლილებებს სრულყოფის კუთხით. პროგრამის სრულყოფა ხდებოდა პროგრამის სტრუქტურისა და მისი კომპონენტების ცვლილებით, ასევე, პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებაზე ზრუნვით.

2019-2020 სასწავლო წლიდან დაიწყო პროგრამის განახლება და რეაკრედიტაციისათვის თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. „ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებით (2019 წლის 22 ნოემბრის ოქმი #3) მოხდა პროგრამის განახლების ინიცირება. შედგა პროგრამის პაკეტისა და თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფი, განისაზღვრა აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოები და პასუხისმგებელი პირების სია. თვითშეფასების ჯგუფის გაფართოებული სამუშაო შეხვედრა შედგა 5-ჯერ. თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო შეხვედრათან შედგა 4-ჯერ. ამასთან, პანდემიის პერიოდში პროგრამის თვითშეფასებაზე მუშაობა გადაერთო დისტანციურ რეჟიმზე. როგორც თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, პანდემიის პირობებში ჯგუფი პარალელურად იყენებდა თიმის პლატფორმას, სადაც შექმნილი ჰქონდათ ჯგუფი პროგრამის განახლების საკითხებზე სამუშაოდ.

პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები დაეფუძნა 8-წლიანი განხორციელების თვითშეფასების შედეგებს, პროგრამის ხელმძღვანელის ხედვებს; დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევას; სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა გამოეფლინა და გაეცა შესაბამისი რეკომენდაცია პროგრამაზე მომუშავე ჯგუფისთვის, რათა პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი კონცენტრაციის კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში მოეყვანათ მოქმედ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სფეროების კლასიფიკატორთან ან საერთოდ მოეხსნათ კონცენტრაცია პროგრამის სტრუქტურიდან. პროგრამაში კონცენტრაცია წარმოდგენილია 12 კრედიტით, მაშინ როცა უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია ითვალისწინებს პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 50%-ს.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ და შესაბამის პოლიტიკას, რომლის თანახმადაც, შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობას იღებს დაწესებულების ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ხუს), ფაკულტეტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები. ამასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს ყოველწლიურად დამტკიცებული წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, ყოველი წლის ბოლოს ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშგება ფაკულტეტის საბჭოსა და საუნივერსიტეტო ხუს-ის წინაშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწესი აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018;

<ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ○ პროგრამის თვითშეფასება 2011-2017; ○ დარგობრივი დეპარტამენტის სხდომის ოქმები პროგრამის დამტკიცებისა და განხილვის შესახებ; ○ ფაკულტეტის სხდომის ოქმები პროგრამის დამტკიცებისა და განხილვის შესახებ; ○ თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი მასალა/შეხვედრის ოქმები; ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა პროგრამაზე; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; ○ სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შეფასებების შედეგები; ○ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების შეფასების შედეგები; ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შედეგები; ○ უცხოურ უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების/შედარების ანალიზი; ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასება და რეკომენდაციები ონ-ლაინ სწავლებასთან დაკავშირებით; ○ ინტერვიუ დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტევიუ დამსაქმებლებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განვითარების პროცესში უზრუნველყოს პროგრამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2012 წელს განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის „გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია“ (ამჟამად სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის თავდაპირველი სახელწოდება) აკრედიტაცია.

2012 წელს აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის მიერ გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1. სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება;
2. სასურველია პროგრამაში გაიზარდოს არჩებითი საგნების წილი;
3. სასურველია პროგრამაში გაიზარდოს საწარმოო პრაქტიკის წილი;
4. სასურველია შემუშავდეს ლიტერატურა ქართულ ენაზე.....“

აკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და რჩევები გაზიარებულია და შესრულებული ინსტიტუციის მიერ: შეიქმნა სახელმძღვანელოების ელექტრონული ბაზები სასწავლო კურსების მიხედვით, განვითარდა და დაიხვეწა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; მოხდა პროგრამის სტრუქტურის ცვლილება, გაიზარდა არჩევითი საგნების ოდენობა, მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების გადამუშავება, ასევე, პროგრამაში შემავალი სასწავლო დისციპლინების სილაბუსების გადამუშავება სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების კუთხით და მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი საკითხებისა და ლიტერატურის სილაბუსებში ასახვის მიზნით.

ამასთან, პროგრამის გარე შეფასებისას გამოყენებულია დამსაქმებლების გამოკითხვა. ასევე, დაწესებულება პროგრამების გარე შეფასებისას იყენებს მხარდაჭერის ისეთ პროექტებს, როგორცაა Erasmus+ პროექტები, სხვადასხვა ფონდების დახმარებით განხორციელებული პროექტები, ვიზიტები და ტრენინგები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ „განახლებული პროგრამის შემუშავების პროცესში აწსუ-ში მოქმედი პოლიტიკის შესაბამისად პროგრამამ გაიარა შიდა შეფასება ე.წ. „ორმაგი ექსპერტიზა“ (აწსუ-ს ხარისხის სამსახურში) და გარე შეფასება (სხვა ინსტიტუციის სპეციალისტის მიერ).“ აღნიშნულ გარემოებას აღნიშნავდნენ დაწესებულების წარმომადგენლები გასაუბრების დროსაც. თუმცა, სხვა ინსტიტუციის სპეციალისტების მიერ პროგრამის შეფასების დოკუმენტი დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშისთვის თანდართულ და ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილ მასალებში ვერ იქნა მოძიებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 116,

<p>19.04.2012;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა (2012 წ.); ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N4; 19.04.2012; ○ ინტერვიუ დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით. მონიტორინგის პროცესში მონაწილეობენ დაინტერესებული პირები: სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული. კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვის სახე, ფორმა და კითხვარები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას</p>

წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი. გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შედეგების ანალიზს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის დანერგილია კოლეგიალური ურთიერთდასწრება. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა შემუშავდა ერთ-ერთი უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებით. ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ყოველწლიურად დგებოდა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განიხილებოდა შესაბამის დეპარტამენტებზე, ფაკულტეტებზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. დაწესებულებაში პერიოდული მონიტორინგის მიზნით მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა სასწავლო კურსების მიხედვით, ასევე მიმდინარეობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შესაბამისი მონაცემთა ანალიზი. პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების პირობებში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნდა წვდომა ყველა ჯგუფებში მიმდინარე სასწავლო პროცესზე, რაც საშუალებას იძლეოდა განხორციელებულიყო პროცესზე დაკვირვება.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იყო სამი უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის თავისებურებები. ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებით წარმოდგენილი იქნა სამი უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანალოგიური სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურები, კერძოდ: გენტის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) და აახენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროგრამა, კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (ლიეტუვა პროგრამა), ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (ესტონეთი) პროგრამა. მართალია, დოკუმენტში ტექსტობრივად აღწერილი არ არის ანალოგიური პროგრამებისა და დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი, თუმცა ანალოგიური პროგრამის სტრუქტურებში სპეციალურად მონიშნული და მითითებულია ის დისციპლინები, რომელთა მსგავსი სასწავლო კურსები შეტანილია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში.

დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ქართველი კოლეგების მიერ მომზადებული განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებაც. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამას შიდა ექსპერტიზა გავლილი აქვს დაწესებულების სხვა ფაკულტეტზე, კერძოდ, აწსუ-ის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018;
- უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- პროგრამის თვითშეფასებება 2011-2017;
- დარგობრივი დეპარტამენტის სხდომის ოქმები პროგრამის დამტკიცებისა და განხილვის შესახებ;
- ფაკულტეტის სხდომის ოქმები პროგრამის დამტკიცებისა და განხილვის შესახებ;
- თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი

<p>მასალა/შეხვედრის ოქმები;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა პროგრამაზე; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; ○ სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შეფასებების შედეგები; ○ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების შეფასების შედეგები; ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შედეგები; ○ უცხოურ უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების/შედარების დოკუმენტი; ○ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული კოლეგის მიერ მომზადებული განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება; ○ საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული პროგრამის შიდა შეფასების დოკუმენტი; ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასება და რეკომენდაციები ონ-ლაინ სწავლებასთან დაკავშირებით; ○ ინტერვიუ დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
გარემოს დაცვის ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ინაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის


სახელი, გვარი, ხელმოწერა ბელა ჯაფომვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა გივი გავარდაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ია ნაცვლიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ბაქარ დუაძე

